ს.ს.ი.პ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
11.12.2008 № 108
ბრძანებაში შესწორების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის №89 (07.11.2008) ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და აღნიშნული ბრძანება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის ყველა იმ სტუდენტმა, რომელსაც 2008 წლის 4 ივლისის მდგომარეობით ერიცხება სასწავლო გეგმით განსაზღვრული რაიმე სახის აკადემიური დავალიანება, შეიძლება მოახდინოს მისი ლიკვიდაცია 2008 წლის 26 დეკემბრამდე;
2. ამ ბრძანების პუნქტი 1–ით განსაზღვრული ყველა ის სტუდენტი, რომელიც ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვერ ან არ მოახდენს აკადემიურ დავალიანებათა ლიკვიდაციას, გაირიცხოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის დეკანმა უზრუნველყოს ამ ბრძანების 1 და 2 პუნქტით განსაზღვრული სტუდენტების ინდივიდუალური გაფრთხილება;
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

რექტორის მ/შ, პროფესორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი პროფ. ს.ესაძე

სწავლებისა და მეცნიერების
დეპარტამენტის უფროსი პროფ. ი.ლომიძე

სტუდენტური თვითმართველობის
პრეზიდენტი თ.დუნდუა

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ.მაისურაძე